დანართი 1

1. საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტი ფაკულტეტის აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალთან თანამშრომლობით უზრუნველყოფს გაცვლითი პროგრამის მონაწილე უცხოელი სტუდენტის (შემდგომში: სტუდენტი) ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენას (უნივერსიტეტში უკვე არსებული ქართული და უცხოენოვანი სასწავლო კურსების შეთავაზება, უცხოელი სტუდენტებისთვის სპეციალური კურსების მომზადება და სხვ.).

2. სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის შემდეგ, საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტი ამზადებს სასწავლო ხელშეკრულებას (learning agreement, ფორმა 1), რომელსაც ხელს აწერენ საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსები და სტუდენტის მშობლიური უნივერსიტეტის შესაბამისი უფლებამოსილების მქონე პირები.

3. საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტი სასწავლო დეპარტამენტს აწვდის საჭირო ინფორმაციას, რომლის საფუძველზეც სასწავლო დეპარტამენტი სტუდენტს უზრუნველყოფს სტუდენტის ბილეთით და სტუდენტის შესახებ ინფორმაციას განათავსებს სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში.

4. საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტი მატერიალური რესურსების მართვის სამსახურთან და საფინანსო დეპარტამენტთან თანამშრომლობით აგვარებს სტუდენტის სტიპენდიით და საცხოვრებელი ბინით უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ საორგანიზაციო საკითხებს.

5. უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი/მოწვეული პროფესორი ინფორმაციას სტუდენტის მოსწრების შესახებ (შეფასების უწყისს) აწვდის ფაკულტეტის შესაბამისი უფლებამოსილების მქონე პირს, რომელსაც აღნიშნული ინფორმაცია შეაქვს სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში. შევსებული სპეციალური ფორმა (ფორმა 2) სტუდენტის მოსწრების შესახებ ეგზავნება საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტს.

6. საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტი ფაკულტეტის/ფაკულტეტების ადმინისტრაციიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე ამზადებს ნიშნების ფურცელს (Transcript of records, ფორმა 3) ინგლისურ ენაზე.

7. საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის მიერ მომზადებულ სტუდენტის ნიშნების ფურცელს (Transcript of records) ხელს აწერენ უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, საგარეო ურთიერთობათა და სასწავლო დეპარტამენტების უფროსები. დოკუმენტი მოწმდება კანცელარიის ბეჭდით.